ProCredit Bank, 154 David Agmashenebeli Ave., 0112 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, დავით აღმაშენებლის გამზ. 154, 0112 თბილისი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

07.03.2012

სათავო ოფისი
იურიდიული განყოფილება

ავტორი : რიმა ლომაური
ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 15-21)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : r.lomauri@procreditbank.ge

თარიღი : 07.03.2012

ქ.თბილისის მერიას

თბილისის არქიტექტურის სამსახურს

თბილისის ზედამხედველობის სამსახურს

მდ: თბილისი, შარტავას 7

თემა: სამშენებლო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით

როგორც მოგეხსენებათ ს.ს. „პროკრედიტ ბანკის" სათავო ოფისი მდებარეობს ქ.თბილისში, აღმაშენებლის გამზირი 154-ში. მის მიმდებარედ განთავსებულია შ.პ.ს. „მაგთის" ოფისი, რომელსაც მშენებლობის დაწყებამდე გააჩნდა მისი ოფისის მიმდებარე ტერიტორია და რომელიც მთლიანად ათვისებულ იქნა მშენებლობის პროცესში შ.პ.ს „მაგთის" მიერ. 2011 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ბანკის მიმდებარე ტერიტორია გამწვანებით უზურნველყო ქ.თბილისის მერიის სამსახურებმა, რაზედაც ბანკს მადლობის მეტი არაფერი არ ეთქმის. 2012 წლის 5 მარტს, შ.პ.ს. „მაგთის" დირექტორმა ბ-ნმა დავით გაჩეჩილაძემ მოგვმართა განცხადებით, საიდანაც შევიტყეთ, რომ ბანკის გარეშე და ქ.თბილისის მერიასთან შეთანხმებით იგეგმება ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამწვანების ადგილას, მაგთის შემინული ჯიხურის ჩადგმა, რაც კატეგორიულად მიუღებელია ბანკისთვის მარკეტინგული კუთხით.

რატომღაც ბოლო პერიოდში ხორციელდება ს.ს. „პროკრდიტ ბანკის" ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე სხვადასხვა კომპანიების ინტერესების დაცვა. მაგალითისთვის შეგახსენებთ, რომ 2011 წლის ზაფხულის პერიოდში, ისე, რომ ბანკისთვის არავის არაფერი უცნობებია, განხორციელდა დიდუბეში, ს.ს. „პროკრედიტ ბანკის' ფილიალის შესასვლელის გადაკეტვა შლაგბაუმით. შლაგბაუმით სარგებლობის უფლება მიეცა მხოლოდ საქართველოს ნოტრაიუსთა პალატას, რომელიც მდებარეობს არა ბანკის, არამედ ბანკისგან მოშორებით, მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტუმცა პარკინგისთვის სარგებლობს ბანკის წინ არსებული შესასვლელი ტროტუარით. შლაგბაუმის დამონტაჟებამ ბანკის კლიენტებსა და თავად ბანკის თანამშრომლებს შეუქმნა დიდი პრობლემა ავტომანქანების გასაჩერებლად, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ჩვენს ფილიალში კლიენტების რაოდენობის შემცირება. აღნიშნულის შესახებ წერილობით გაცნობეთ როგორც თქვენ, ასევე ყველა სათანადო ორგანოს, რაზედაც არავითარი რეაგირება არ მომხდარა. დღევანდელ შემთხვევაშიც მაგთის შემინული ჯიხურის არსებობა ბანკის მიმდებარე (და არა მაგთის მიმდებარე) ტერიტორიაზე ასევე უარყოფითად აისახება ბანკის მუშაობაზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ბანკის უარყოფითი პოზიცია ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯიხურის ჩადგმასთან დაკავშირებით და ს.ს. „პროკრედიტ ბანკსაც" შეგვიქმნათ სათანადო გარემო ბიზნესის ნორმალური განვითარებისთვის, ისევე როგორც ეს ხდება შპს „მაგთის" და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიმართ.


პატივისცემით,

ს.ს "პროკრედიტ ბანკი", საქართველო

საშა ტერნესი
დირექტორი

რიმა ლომაური
უფროსი იურისტი

1200103


ადამი
ადამი